ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №123681

ნომერი: AR141279

თარიღი : 12.04.2012

გაცემის თარიღი : 18.04.2012

გაცნობის თარიღი : 02.05.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გროზნო , N 13 , (ნაკვეთი 051/021) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა სალაყაია პ/ნ 01019006638
- თბილისი გვაზაურის ქ. კორ. 11 ბ. 45

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დიდუბე–ჩუღურეთის რაიონში, გროზნოს ქუჩა #13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია #01.16.03.051.021, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, გაცნობებთ, რომ მითითებულ საკადასტრო გეგმაზე ფიქსირდება მომიჯნავე საკადასტრო ერთეულის გადაფარვა. #01.16.03.051.021 და #01.16.03.051.001 საკადასტრო საზღვრები (წითელი ხაზები) არასწორედაა დარეგისტრირებული, რის შედეგადაც ხდება წითელი ხაზების გადაფარვა (იხ. დანართი). ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს მიწის ნაკვეთების წითელი ხაზების კორექტირება ახალი ანაზომის საფუძველზე, ამისათვის, მიწის ნაკვეთის მეპატრონეებმა უნდა მიმართონ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უნდა წარადგინოთ ტოპო გეოდეზიური ნახაზი კორექტირებული მიწის ნაკვეთების საზღვრების ჩვენებით, შესაბამისი ელექტრონული ვერსია (CD) შესრულებული DWG და SHP ფაილებში.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 15 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2012 წლის 12 აპრილს. საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 3 სამუშაო დღე. ზოგადო ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 12 სამუშაო დღე. დანიშნულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტის არ წარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩება განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

დანართი 1 ფურცელი

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.